ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვის შესახებ №2/100

ქ. თბილისი 16 მაისი, 2012წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (შემდგომში- შემსყიდველი), მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას #12, წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის, ქეთევან ბოჭორიშვილის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. ,,საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანია'', (შემდგომში - მიმწოდებელი), მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. N71, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზურაბ ქანანაშვილის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 მარტის N542 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 **ხელშეკრულების საგანია:** შემსყიდველის მიერ ,,საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონით სააგენტოსთვის განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, 2011 წლის მეორე ნახევრიდან 2012 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით თბილისის უძრავი ქონების ბაზრის კვლევის გამარტივებული შესყიდვა, განკუთვნილი 2012 წლის 27-29 ივნისს თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში უძრავი ქონებისა და ტურიზმის სფეროში დაგეგმილი ბიზნეს-ფორუმის მონაწილე კომპანიების და ექსპერტებისთვის მისაწოდებლად.

1.2. კლასიფიკატორის კოდი არის **79310000** (ბაზრის შესწავლა).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება (შემდგომში ხელშეკრულების საერთო ღირებულება) შეადგენს 2065.00 (ორიათასსამოცდახუთი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს:

3.1.1. 2011 წლის მეორე ნახევრის თბილისის კომერციული უძრავი ქონების ბაზრის და 2012 წლის პირველი კვარტლის თბილისის უძრავი ქონების ბაზრის კვლევა 2012 წლის 12 ივნისამდე;

3.1.2. 2012 წლის პირველი ნახევრის თბილისის კომერციული უძრავი ქონების ბაზრის კვლევა 2012 წლის 25 ივნისამდე.

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #12 - სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება შემსყიდველის მიერ მიღებულად, ხოლო მიმწოდებლის მიერ ჩაბარებულად ჩაითვლება მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების შედეგად, რომელიც შედგება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის და შედეგის შემსყიდველისთვის გადაცემის შემდგომ.

4.2. მომსახურების მიღებას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

4.3. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება 3 ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ოდენობა

6.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენს 2065.00 (ორიათასსამოცდახუთი) ლარს.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ, საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვის გზით, შემდეგნაირად:

6.2.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის, ამ ხელშეკრულების 3.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველი მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხავს ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან 1400 (ათასოთხასი) ლარს.

6.2.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის ამ ხელშეკრულების 3.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმების და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველი მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხავს ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან 665 (ექვსასსამოცდახუთი) ლარს.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება

ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.2.4. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული კვლევა არ გახადოს საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი იმ სახით, რა სახითაც მოხდება კვლევის მიწოდება;

8.2.5. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული კვლევა არ გაავრცელოს იმ სახით, რა სახითაც მოხდება კვლევის მიწოდება, შემსრულებლის პოტენციურ კლიენტებთან საქართველოში, როგორიცაა: ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, დიპლომატიური ორგანიზაციები და სხვა;

8.2.6. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული კვლევის გამოყენებისას, აუცილებლად მიუთითოს მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია, როგორც ინფორმაციის წყარო.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს კონტროლი კვლევის შედგენისას;

8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით შედგენილი კვლევა.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.2. ხელშეკრულებით შეთანხმებულ კვლევაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.4.3. გაუწიოს შემსყიდველს, ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული, მომსახურება დათქმულ ვადაში, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. კვლევის შედეგები და ენა

9.1. ამ ხელშეკრულების 3.1.1. და 3.1.2. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, 2011 წლის მეორე ნახევრის თბილისის კომერციული უძრავი ქონების ბაზრის და 2012 წლის პირველი ნახევრის თბილისის კომერციული უძრავი ქონების ბაზრის კვლევები შესრულდება ქართულ ენაზე, PDF ფორმატში და შემსყიდველს გადაეცემა ელექტრონული სახით.
9.2. ამ ხელშეკრულების 3.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული, 2012 წლის პირველი კვარტლის თბილისის უძრავი ქონების ბაზრის კვლევა შესრულდება ინგლისურ ენაზე, PDF ფორმატში და შემსყიდველს გადაეცემა ელექტრონული სახით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი და საომარი მოქმედებები, კარანტინი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

13. სადაო საკითხები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოს მიერ.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის/პუნქტის/ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას.

14.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება-დამატება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა შორის შესაბამისი წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით, რომელიც ხელმოწერილ უნდა იქნას მხარეთა სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი გადაეცემა შემსყიდველს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>

სსიპ. საქართველოს ეროვნული
საინვესტიციო სააგენტო

ქ.თბილისი, გ.ჭანტურიას ქ. №12
ს.კ. 204990082
საქართველოს ეროვნული ბანკი
ბანკის კოდი: 220101222
ა/ა 200122900

ქეთევან ბოჭორიშვილი
(დირექტორი)

<u>მიმწოდებელი</u>

შპს ,,საქართველოს უძრავი
ქონებისა და ინვესტიციების
მართვის კომპანია"

ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. N71
ს.კ. 205170615
ს.ს. ,,კორ-სტანდარტ ბანკი"
ბანკის კოდი: 220101945
ა/ა GE20KS0000000004146043

ზურაბ ქანანაშვილი
(დირექტორი)